

# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



"ვამტკიცებ" "  
თავდაცვის, საზოგადოებრივი  
წესრიგის და უსაფრთხოების  
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი

*9.7/12*

თორნიკე შერმადინი

01 2013 წელი

ეგზ. N1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული  
პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ ფინანსური აუდიტის ანგარიში *ა/5/00*

01/01/2008-31/12/2009

## სარჩევი

|                                                                     |        |
|---------------------------------------------------------------------|--------|
| საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....                                    | - 2 -  |
| საბალანსო ანგარიშგება.....                                          | - 5 -  |
| საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები .....                              | - 6 -  |
| არასაბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები .....                           | - 6 -  |
| შენიშვნა 1 - ფული და ფულის ექვივალენტები .....                      | - 7 -  |
| შენიშვნა 2 - დებიტორული დავალიანებები .....                         | - 7 -  |
| შენიშვნა 3 - არაფინანსური აქტივები.....                             | - 9 -  |
| შენიშვნა 4 - სასაქონლო მატერიალური მარაგები .....                   | - 10 - |
| შენიშვნა 5 - ვალდებულებები .....                                    | - 11 - |
| შენიშვნა 6 - საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები.....                  | - 12 - |
| შენიშვნა 7 - არასაბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები.....               | - 13 - |
| შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან ..... | - 20 - |

## შესავალი

აუდიტის ობიექტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“. ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

აუდიტის ფორმა - ფინანსური აუდიტი

აუდიტის სფუბველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 7 ივნისის N60/43 ბრძანება

აუდიტორები - საქართველოს კონტროლის პალატის უფროსი აუდიტორები - თემურ ჩილინდრიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები მაკა დიხამინჯია, ენვერ დოლიძე და გიორგი თაბუაშვილი

აუდიტის პერიოდი - 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე

აუდიტის ვადა - 2010 წლის 7 ივნისიდან 2010 წლის 17 ივლისამდე

## შემოკლებანი

სამინისტრო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დეპარტამენტი - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ხელშეკრულება - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვების სააგენტო - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შპს - შესღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე

## საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის №90 ბრძანებულების შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში არსებული სსიპ „დაცვის პოლიციის“ რეორგანიზაციის შედეგად. დეპარტამენტზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად დეპარტამენტის ამოცანებია კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ მიზნით იგი ხელშეკრულებების და სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე ახორციელებს: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვას, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებას, დასაცავი

ობიექტების დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას. ამოწმებს კერძო დაცვითი ორგანიზაციის, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის შესაბამისობას „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნების დარღვევისათვის მათ შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს.

დებულებით დეპარტამენტის დაფინანსების წყაროებია:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები

დეპარტამენტის მიერ მიღებული შემოსავლების განკარგვა და ბიუჯეტთან ურთიერთობა ხორციელდება ცენტრალიზებულად.

დეპარტამენტი ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების დაცვის, აგრეთვე სწრაფი რეაგირების სამმართველოს შენახვისათვის საჭირო სახსრებით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ სხვა ფუნქციებს ასრულებს საკუთარი სახსრებით.

დეპარტამენტი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვისათვის, უზრუნველყოფს დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთას. ამ მიზნით მის თანამშრომელს უფლება აქვს ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დეპარტამენტის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის შეღავათები და სოციალური გარანტიები, რომელიც დაწესებულია შინაგან საქმეთა ორგანოების მოსამსახურეთათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დეპარტამენტს აქვს ბეჭედი, დამოუკიდებელი წლიური ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკში და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა.

დებულებით, დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის და დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოები, აგრეთვე 19 ტერიტორიული სამმართველო და სხვა დანაყოფები.

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საბალანსო ერთეულებია:

- დეპარტამენტი
- ვაკე-საბურთალოს სამმართველო
- მთაწმინდა-კრწანისის სამმართველო
- ისანი-სამგორის სამმართველო
- დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო
- გლდანი-ნაძალადევის სამმართველო
- აჭარის სამმართველო
- მცხეთა-მთიანეთის სამმართველო
- კახეთის სამმართველო
- ქვემო ქართლის სამმართველო
- შიდა ქართლის სამმართველო
- სამცხე-ჯავახეთის სამმართველო
- იმერეთი-გურიის სამმართველო

- სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო
- ტრანსპორტის ობიექტების დაცვის პოლიციის სამმართველო

დეპარტამენტი ემსახურება ადმინისტრაციას, ფულადი სახსრებისა და ფასეულობების, ფიზიკური პირებისა და ობიექტების დაცვის, საავიაციო უშიშროების და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის სამმართველოებს, აგრეთვე საბიუჯეტო დაფინანსებაზე არსებული ეროვნული საგანძურის დაცვის, დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის და სწრაფი რეაგირების სამმართველოები (კეთდება ცალკე ბალანსი).

სახელმწიფო შეკვეთების შესრულების მიზნით დეპარტამენტში შექმნილია ეროვნული საგანძურის დაცვის, დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის და სწრაფი რეაგირების სამმართველოები, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ხარჯზე. სხვა დანარჩენი საქმიანობა ფინანსდება საკუთარი შემოსავლებით.

საბალანსო ერთეულებში თანამშრომლების მიღება, გათავისუფლება და მათზე შრომის ანაზღაურების დარიცხვა, ხდება ადგილობრივი ბრძანებებით. ყველა სხვა სახის საკასო ხარჯის გაწევა დეპარტამენტის პრეროგატივაა, რომელიც ცენტრალიზებული წესით ახდენს საჭირო მატერიალური ფასეულობების შესყიდვას და დაქვემდებარებული სამმართველოებისათვის გადაცემას.

#### წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

დეპარტამენტში 2006 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდის სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების განკარგვა-გამოყენების კანონიერების თემატური შემოწმება მიმდინარეობდა 2008 წლის 24 მარტიდან 22 ივლისამდე, რომელიც ჩატარებულია საქართველოს კონტროლის პალატის მეოთხე სარევიზიო დეპარტამენტის სარევიზიო ჯგუფის მიერ (აქტი N96/20 2008 წლის 21 ივლისი). შემოწმების შედეგად დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

- არ შემოწმებულა დეპარტამენტის 2007 წლის წლიური ბალანსი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომელიც უნდა დაენიშნა სამინისტროს
- დეპარტამენტმა არ შეადგინა საკუთარი შემოსავლების 2007 წლის საფინანსო გეგმა
- რამდენიმე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიღების აქტში მექანიკურად იყო გაზრდილი შესრულებული სამუშაოს მოცულობები
- რამდენიმე შემთხვევაში სახელმწიფო ქონება ჩამოწერილია შესაბამისი თანხმობის გარეშე
- სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია შესაბამისი მარეგულირებელი აქტების სისტემატური დარღვევებით და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად დეპარტამენტში გაწეულია სამუშაოები, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი არ გამოსწორებულა, რაც სხვა დარღვევებთან ერთად აისახა წინამდებარე აქტში.

## ძირითადი ტექსტი

დეპარტამენტი ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებს კომპიუტერულ პროგრამა „ინფო ბუღალტერ“-ს. მოქმედი დებულებით საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სწორი ორგანიზაცია საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კომპეტენციაა. აღნიშნული სამმართველოს შემადგენლობაშია საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო, რომელსაც ექვემდებარება საბუღალტრო სამსახური. დეპარტამენტის 15 ტერიტორიული სამმართველო წარმოადგენს საბალანსო ერთეულს და გააჩნია შესაბამისი საბუღალტრო სამსახური. თითოეული საბალანსო ერთეულის მიერ წარმოდგენილი ბალანსი კონსოლიდირდება უშუალოდ დეპარტამენტის ბალანსთან და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამმართველოების ბალანსი და დეპარტამენტის ნაერთი ბალანსის სახით წარედგინება სამინისტროს.

## საბალანსო ანგარიშგება

| ფინანსური აქტივები                   | შენიშვნა | 31/12/2008        | 31/12/2009        |
|--------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 1        | 3,806,434         | 3,167,239         |
| დებიტორული დავალიანებები             | 2        | 9,415,043         | 9,457,949         |
| საგადასახადო აქტივები                |          | 24,219            | 1,516,353         |
| მისაღები პროცენტი                    |          | 0                 | 32,370            |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>        |          | <b>13,245,696</b> | <b>14,173,911</b> |
| <br>არაფინანსური აქტივები            |          |                   |                   |
| შენიშვნა-ნაგებობები                  | 3        | 5,372,652         | 9,028,336         |
| მანქანა დანადგარები და მოწყობილობები | 3        | 7,553,951         | 9,430,748         |
| სხვა ძირითადი აქტივები               | 3        | 482,258           | 605,182           |
| არაწარმოებული აქტივები               | 3        | 3,521,897         | 7,253,418         |
| სხვა მატერიალური მარაგები            | 4        | 4,403,159         | 5,244,392         |
| <b>სულ არაფინანსური აქტივები</b>     |          | <b>21,333,917</b> | <b>31,562,076</b> |
| <br><b>სულ აქტივები</b>              |          | <b>34,579,613</b> | <b>45,735,987</b> |
| <br>ვალდებულებები                    |          |                   |                   |
| კრედიტორული დავალიანებები            | 5        | 593,698           | 540,266           |
| საგადასახადო ვალდებულებები           | 5        | 1,419,563         | 1,915,771         |
| გადასახდელი ხელფასები                | 5        | 983,822           | 1,039,974         |
| სხვა ვალდებულებები                   | 5        | 183,310           | 206,531           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>             |          | <b>3,180,393</b>  | <b>3,702,542</b>  |
| <br>კაპიტალი                         |          |                   |                   |
| წმინდა ღირებულება                    |          | 19,555,707        | 25,958,665        |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 11,843,513        | 16,074,780        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>31,399,220</b> | <b>42,033,445</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> |          | <b>34,579,613</b> | <b>45,735,987</b> |

## საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

(გადახდა, ათას ლარებში)

|                              | შენიშვნა | 2008 წელი | 2009 წელი |
|------------------------------|----------|-----------|-----------|
| შემოსავლები                  | 6        | 8,706     | 9,101     |
| ხარჯები                      | 6        |           |           |
| შრომის ანაზღაურება           |          | 5,616     | 7,830     |
| საქონელი და მომსახურება      |          | 1,169     | 1,095     |
| სოციალური უზრუნველყოფა       |          | 28        | 26        |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება |          | -         | -         |
| სულ ხარჯები                  |          | 6,813     | 8,951     |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  |          | 1,893     | 150       |

## არასაბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

(ათას ლარებში)

|                              | შენიშვნა | 2008 წელი | 2009 წელი |
|------------------------------|----------|-----------|-----------|
| შემოსავლები                  |          | 55,516    | 62,704    |
| ხარჯები                      |          |           |           |
| შრომის ანაზღაურება           |          | 36,819    | 47,004    |
| საქონელი და მომსახურება      |          | 10,066    | 8,451     |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება |          | 1,451     | 2,037     |
| სოციალური უზრუნველყოფა       |          | 174       | 310       |
| სხვა ხარჯი                   |          | 3,304     | 670       |
| სულ ხარჯები                  |          | 51,814    | 58,473    |
| მოგება                       |          | 3,702     | 4,231     |

### შენიშვნა 1 - ფული და ფულის ექვივალენტები

აუდიტის პერიოდში დეპარტამენტს ქვეყნის ოთხ ბანკში გახსნილი ჰქონდა 14 ანგარიშსწორების ანგარიში. საბანკო ანგარიშებზე ნაშთის სახით მუდმივად ირიცხება საშუალოდ 3 მილიონი ლარი. 2009 წლის 31 დეკემბერს ფულის ნაშთმა შეადგინა 3,756.5 ათასი ლარი.

რამდენიმე დამკვეთის მიერ მომსახურების ანაზღაურება ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ფულის უშუალოდ დეპარტამენტის სალაროში შეტანით. 2008 და 2009 წლებში დეპარტამენტის სალაროში შესულია 1,308.4 ათასი ლარი, რაც შემდგომ შეტანილია ბანკში.

რამდენიმე შემთხვევაში დეპარტამენტის სალაროში ნაშთის სახით დაფიქსირებულია ლიმიტზე მეტი თანხები. მაგალითად, სამინისტროს 2008 წლის 6 დეკემბრის N10/4/5-7646 წერილით დეპარტამენტს დაუმტკიცდა ნაღდი ფულის ლიმიტი 30.0 ათასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, 2008 წლის 26 დეკემბრიდან 9 იანვრამდე სალაროში ყოველდღიურად საშუალოდ ინახებოდა 40-50 ათასი ლარი<sup>1</sup>.

### შენიშვნა 2 - დებიტორული დავალიანებები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების თანახმად 2008 წლის 31 დეკემბერს და 2009 წლის 31 დეკემბერს დეპარტამენტის დებიტორული დავალიანებების ნაშთი შესაბამისად შეადგენდა 9,415.0 ათას და 9,457.9 ათას ლარს.

|                                          | 31/12/2008       | 31/12/2009       |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 9,148,587        | 9,195,754        |
| მოთხოვნები მივლინებით                    | 38,191           | 15,810           |
| მოთხოვნები დანაკლისებით                  | 54,910           | 68,786           |
| სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები  | 173,355          | 177,599          |
| <b>სულ დებიტორული დავალიანებები</b>      | <b>9,415,043</b> | <b>9,457,949</b> |

დეპარტამენტის მიერ სამინისტროში წარდგენილ ნაერთ ბალანსს თან ერთვის დებიტორთა სია, სადაც ერთ-ერთ დებიტორად მითითებულია სამინისტრო დებიტორული დავალიანების ნაშთით 201.4 ათასი ლარი. ხოლო, თვით სამინისტროს დეპარტამენტი კრედიტორად არ ჰყავს აღრიცხული. აღნიშნული დავალიანების წარმოშობის საფუძვლად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ 2003 წლის 1 აგვისტოს და 20 ოქტომბერს გამოწერილი საგადახდო დავალებები (NN843, 998, 999, 1000 და 1001), რომელთა ძალითაც სამინისტროს ანგარიშზე (N115141908) ჩარიცხულია 194.5 ათასი ლარი. თანხის გადარიცხვის საფუძვლად მითითებულია

1 დარღვეულია „სალაროს მეურნეობის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N328 ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნა რომლის ძალითაც დეპარტამენტი ვალდებული იყო სალაროს ყოველდღიური ნაშთის ლიმიტს ზემოთ არსებული ნაღდი ფული საანგარიშო დღის ბოლოს ჩაებარებინა საბანკო დაწესებულებაში. (აღნიშნული დებულება ძალადაკარგულია 2009 წლის 13 აპრილიდან)

სამინისტროს 2003 წლის 15 ივლისის წერილი 9/7-928, ხოლო დანიშნულებად „შესაძენი იარაღის ღირებულება“.

დეპარტამენტის ნაერთი ბალანსის ანგარიშის „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ ნაშთი 2008 წლის 1 იანვარს შეადგენდა 8,072.9 ათასი ლარს. აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანებების შემცირების მიზნით დეპარტამენტმა გაწია გარკვეული საქმიანობა. დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის მიერ რამდენიმე დებიტორთან მიმდინარეობს სასამართლო დავა, ხოლო რამდენიმე დებიტორთან სასამართლო პროცესი დასრულებულია და საქმე აღსრულების სტადიაშია. გარდა ამისა, 2008 წელს ჩამოწერილია და საცნობარო მუხლებშია გადატანილი 2,486.2 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია გასულ წლებში ენერგეტიკის ცხრა ობიექტიდან.

ასევე, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 25 მაისის N960 და 28 დეკემბრის N2357 ბრძანებებით უიმედო ვალების განსაზღვრის და შემდგომში მათი ჩამოწერის მიზნით შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია, მიუხედავად ამისა 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების საერთო თანხა შემცირების ნაცვლად გაიზარდა და შეადგინა 9,195.8 ათასი ლარი. მათ შორის, საბიუჯეტო სექტორიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანება შეადგენს 400.7 ათას ლარს, რომელიც წარმოიშვა 2002-2004 წლებში და ერიცხება კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

დანარჩენი 8,795.1 ათასი ლარიდან, 8,092.3 ათასი ლარი წარმოქმნილია გაწეული მომსახურებიდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ ხანდაზმულია:

| წარმოშობის პერიოდი | ათასი ლარი |
|--------------------|------------|
| 2000 წლამდე        | 1,031.0    |
| 2000-2005 წლებში   | 2,241.2    |
| 2006-2007 წლებში   | 398.2      |
| 2008 წელი          | 460.5      |
| 2009 წელი          | 3,961.4    |
| სულ                | 8,092.3    |

ხელშეკრულებების მიხედვით დამკვეთებმა მიღებული მომსახურების საფასური უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად, ამასთან, დეპარტამენტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი თანხების ყოველთვიურად გადაუხდელობის შემთხვევაში. დეპარტამენტი ზოგ შემთხვევაში აღნიშნულ უფლებამოსილებას არ იყენებდა, რამაც განაპირობა წლების მანძილზე დებიტორული დავალიანებების ზრდა. ასევე, რამდენიმე შემთხვევაში დაუდგენელია დებიტორების წარმოშობის მიზეზი. დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის მიერ, ამ დავალიანებების ამოსაღებად სასამართლოში სარჩელი არ არის შეტანილი და შესაბამისად ვერ ხდება მისი ამოღება.

აუდიტის პერიოდში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან დეპარტამენტის ანგარიშზე ჩარიცხულია 1,249.4 ათასი ლარი. აქედან, 151.2 ათასი ლარი ჩარიცხულია 2008 წლის 1 აგვისტოს, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2003 წლის 27 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცელის საფუძველზე (საგადახდო დავალება N783). სააღსრულებო ფურცელი გაცემულია ამავე სასამართლოს 2001 წლის 5 მარტის

გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომლის ძალითაც საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა დეპარტამენტისადმი რიცხული 151.2 ათასი ლარის დავალიანების დაფარვა.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 1,098.2 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება სახაზინო სამსახურს დააკისრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2001 წლის 17 ივლისის N01/03-10-4561 გადაწყვეტილებით, რაზედაც 2002 წლის 30 სექტემბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, 1997-2000 წლებში დეპარტამენტის კულტურის ძეგლების და მუზეუმების დაცვის პოლიციის ლეგიონს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა ასიგნებები, რომელიც სახაზინო სამსახურის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდებოდა. აღნიშნულის გამო, დაცვის პოლიციის ლეგიონის მიერ გაწეულ ფაქტიურ ხარჯსა და მიღებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხებოდა დავალიანებად რის გადახდაც დაეკისრა სახაზინო სამსახურს. 2009 წლის 8 აპრილის N2333 საგადახდო დავალებით ეს თანხა ჩაირიცხა დეპარტამენტის ანგარიშზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ამ თანხიდან 356.3 ათასი ლარი ლეგიონის თანამშრომლებზე გაუცემელი ხელფასებია, რომელთა გაცემაც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯერ დაწყებული არ იყო.

### შენიშვნა 3 - არაფინანსური აქტივები

დეპარტამენტის საბალანსო მონაცემების მიხედვით 2007 წლის 31 დეკემბერს არაფინანსური აქტივები შეადგენდა 8,293.3 ათასი ლარს. აუდიტის პერიოდში მისი ქონება მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიღებული მიწისა და შენობა-ნაგებობების, ისე საბიუჯეტო და საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვების ხარჯზე. 2008 და 2009 წლებში დეპარტამენტის ბალანსზე შემოსავალში ჯამურად აღრიცხულია 27,139.2 ათასი, ხოლო გასავალში 9,114.7 ათასი ლარის ღირებულების აქტივები, რის შედეგადაც 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ძირითადი აქტივების ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 26,317.8 ათასი ლარი.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ:

| აქტივების დასახელება | არასაცხ-ლი შენობები | სხვა შენობა ნაგებობები | სატრანსპორტო საშუალებები | მანქანა-დანადგ. | სხვა ძირ. მიწა აქტივები | სულ      |
|----------------------|---------------------|------------------------|--------------------------|-----------------|-------------------------|----------|
| ნაშთი 01/01/ 08      | 2,539.1             | -                      | 1,971.7                  | -               | 2,883.7                 | 8,293.3  |
| მიღება:              |                     |                        |                          |                 |                         | 27,139.2 |
| შესყიდვა             | 453.7               | 34.6                   | 1,388.2                  | 168.0           | -                       | 2,044.5  |
| უსასყიდლოდ           | 3,553.2             | -                      | 267.1                    | 29.6            | 31.5                    | 6,354.6  |
| სხვა ეკ. ნაკადები    | 39.0                | 289.7                  | -                        | 4,011.2         | 45.2                    | 4,385.1  |
| საკუთარი სახსრებით   | 2,733.3             | 156.3                  | 2,573.6                  | 2,342.6         | 2,667.8                 | 10,473.6 |

|                     |         |       |         |         |         |         |          |
|---------------------|---------|-------|---------|---------|---------|---------|----------|
|                     |         |       |         |         |         |         | 9,114.7  |
| გასვლა:             |         |       |         |         |         |         | 90.1     |
| გაყიდვა             | -       | -     | 90.1    | -       | -       | -       | 90.1     |
| უსასყიდლოდ          | 204.0   | -     | 15.1    | -       | 70.9    | -       | 290.0    |
| სხვა ეკ. ნაკადები   | 350.7   | 7.4   | 125.7   | 169.6   | 3,964.6 | -       | 4618.0   |
| კაპიტალის მოხმარება | 169.6   | 38.8  | 1,512.5 | 1,408.2 | 987.5   | -       | 4116.6   |
| ნაშთი 31/12/2009    | 8,594.0 | 434.4 | 4,457.2 | 4,973.6 | 605.2   | 7,253.4 | 26,317.8 |

დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისა და პირველადი საბუთების შემოწმებით დადგინდა, რომ ძირითადი აქტივების, შესყიდვა, უსასყიდლოდ მიღება და გადაცემა, ასევე ჩამოწერა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

აუდიტის პერიოდში, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2008 წლის 20 ოქტომბრის და 2009 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებების შესაბამისად ჩატარებულია ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებების და ანგარიშსწორებათა წლიური ინვენტარიზაციები. შედეგად მატერიალური ფასეულობების მეტობა ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

#### შენიშვნა 4 - სასაქონლო მატერიალური მარაგები

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპარტამენტის სასაქონლო მატერიალური მარაგების ბალანსი შეადგენდა 4,994.4 ათასი ლარს. ეს ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის გაიზარდა 5,244.4 ათას ლარამდე, რაც ძირითადად გამოიწვეულია დაცვითი-ტექნიკური საშუალებების მარაგების ზრდით.

|                        | 31/12/2009 | 31/12/2008 | 31/12/2007 |
|------------------------|------------|------------|------------|
| საბიუჯეტო სახსრებით    | 239.9      | 291.5      | 238.5      |
| არასაბიუჯეტო სახსრებით | 5,004.5    | 4,111.7    | 4,755.9    |
| სულ                    | 5,244.4    | 4,403.2    | 4,994.4    |

მიუხედავად ნორმალურად ორგანიზებული სასაწყობო მეურნეობის არსებობისა, დეპარტამენტის ზოგიერთ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ერიცხება დიდი ოდენობით მატერიალური ფასეულობები. მაგალითად, დაცვის ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის სამმართველოს ინჟინერს ი. ხმაღაძეს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 161.7 ათასი ლარის ღირებულების დაცვის ტექნიკური საშუალებები. აღნიშნული ნაშთიდან საყურადღებოა 2007 წლის ოქტომბრიდან დღემდე რიცხული 56 ცალი GPS-GPRS მოდული XP60 (ნარჩენი ღირებულება 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 14,7 ათასი ლარი), რომელიც ი. ხმაღაძის განმარტებით დამონტაჟებული იყო დეპარტამენტის ავტომანქანებზე, ამჟამად კი აღარ გამოიყენება და ექვემდებარება საწყობში დაბრუნებას. ამავე დროს, მას 2009 წლის 29 იანვარს დაეწერა 43,4 ათასი ლარის ღირებულების 50 ცალი GPS მოწყობილობა, საიდანაც აუდიტის მიმდინარეობისას ადგილზე აღმოაჩნდა მხოლოდ ცხრაშეტი. ი. ხმაღაძის წერილობითი განმარტებით, მან დანარჩენი 31 ცალი GPS მოწყობილობა

დამონტაჟა დეპარტამენტის კუთვნილ ავტომანქანებზე, თუმცა შესაბამისი აქტები არ გაფორმებულა. მატერიალური ფასეულობები უნდა ერიცხებოდეს კონკრეტულად იმ თანამშრომელს ვინც რეალურად განკარგავს მას და არა იმ ინჟინერს, ვინც ისინი დამონტაჟა.

დეპარტამენტში არ არის დადგენილი მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიერ ანგარიშების წარდგენის ფორმები და ვადები, რაც გარკვეულწილად განაპირობებს ზემოხსენებულ მდგომარეობას და გამოსწორებას საჭიროებს<sup>2</sup>.

## შენიშვნა 5 - ვალდებულებები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების თანახმად 2008 წლის 31 დეკემბერს და 2009 წლის 31 დეკემბერს დეპარტამენტის მთლიანი ვალდებულებების ნაშთი შესაბამისად შეადგენდა 3,180.4 ათას და 3,702.5 ათას ლარს.

დეპარტამენტში, იმ თანამშრომლებზე, რომელთა დასაცავი ობიექტის მიერ არ ხდება შესაბამისი თანხების გადახდა, არ ხორციელდება ხელფასების გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ რიგით თანამშრომელს არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია დასაცავი ობიექტიდან თანხის ამოღებისა.

2009 წლის 28 აპრილს დეპარტამენტსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად გაფორმდა ხელშეკრულება N1/1783, რომლის ძალითაც დეპარტამენტი პოლიციის ორი უფროსი ინსპექტორის საშუალებით ახორციელებდა მის პირად დაცვას, რისთვისაც ფედერაციას ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 2,4 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის 7 აგვისტოს შემდეგ ფედერაციას შესაბამისი თანხა არ გადაუხდია, დეპარტამენტის მიერ არ მომხდარა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მასზე 11,654 ლარის დებიტორული დავალიანება ირიცხებოდა. აღნიშნულის გამო, უშუალოდ იმ ორ თანამშრომელზე, რომლებიც ახორციელებდნენ ნოდარ ახალკაცის პირად დაცვას, დეპარტამენტის მიერ შეჩერებულ იქნა ხელფასების გაცემა და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათზე გაუცემელმა ხელფასმა 6,274 ლარი შეადგინა, რაც ირიცხება კრედიტორულ დავალიანებად.

ამავე თარიღისთვის ანალოგიური მიზეზით 131 თანამშრომელზე გასაცემი იყო 154.8 ათასი ლარი, ხოლო პირადი დაცვის ობიექტების მიერ გადაუხდელობა თანხამ ჯამში 638,1 ათასი ლარი

<sup>2</sup> დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის (სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა) მეათე პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ ორგანიზაციის მიერ სხვა ვადა არ იქნება დადგენილი.

შეადგინა. მათ შორის აღსანიშნავია სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე“ და შპს „ინტერნეიშნელ ბილდინგ კომპანიზე“ 2007 წლიდან რიცხული 8,9 და 8,1 ათასი ლარი, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისზე“, შპს „ბათფარზე“, შპს „ე და ემზე“ 2008 წლიდან რიცხული, შესაბამისად 14,3 ათასი, 18,4 ათასი და 12,2 ათასი ლარი.

#### შენიშვნა 6 - საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრების დაგეგმვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამივე სამმართველოს საშტატო რიცხოვნობის, სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით. სამინისტროსათვის წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში დეპარტამენტის დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ სუბსიდიების და არაფინანსური აქტივების მუხლებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2008 და 2009 წლების კანონებით დეპარტამენტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისად 8,413.3 ათასი და 10,365.6 ათასი ლარი. ამ პერიოდში შიდა მუხლობრივი და ორგანიზაციებს შორის განხორციელებული გადანაწილებების შედეგად ეს პარამეტრები 8,713.3 ათას და 9,106.6 ათასი ლარამდე დაზუსტდა.

2008 წლის 15 ოქტომბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის თანახმად სამინისტროს 2008 წლის 6 ოქტომბრის N10/4/5-6638 წერილის საფუძველზე სამინისტროს ორგანოებისათვის არაფინანსური აქტივების მუხლით გამოყოფილი ასიგნებებიდან 300.0 ათასი ლარი გადატანილ იქნა დეპარტამენტის ამავე მუხლში.

#### შრომის ანაზღაურება

2008 და 2009 წლებში დეპარტამენტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების მუხლით გახარჯული აქვს შესაბამისად 5,615.5 ათასი და 7,830.2 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 65% და 86%-ს შეადგენს.

აღნიშნულ წლებში გაცემულია 257.7 ათასი და 312.5 ათასი ლარის პრემია, რაც მთლიანი შრომის ანაზღაურების 4.6% და 4.0%-ს შეადგენს. 2008 და 2009 წლებში მთლიან შრომის ანაზღაურებაში 7.3% და 10.1% შეადგენს დანამატის სახით გაცემულ შრომის ანაზღაურებას.

#### საქონელი და მომსახურება

- 2008 და 2009 წლებში საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი შესაბამისად შეადგენს, 1,168.8 ათას და 1,094.6 ათას ლარს, საიდანაც ოფისის ხარჯებზე მოდის 268 ათასი და 223 ათასი ლარი. 2009 წელს ოფისის ხარჯების ფაქტობრივმა ხარჯებმა საკასო ხარჯებს გადააჭარბა 102 ათასი ლარით რაც ძირითადად გამოწვეულია წინა წელს შეძენილი მატერიალური მარაგების ხარჯვით.

- 2008 და 2009 წლებში მივლინების ქვემუხლით გაცემულია შესაბამისად 64.7 ათასი და 124.4 ათასი ლარი. აქედან, 90%-ზე მეტი გაცემულია სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებზე, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ შიდა ქართლში სპეციალური დავალების შესასრულებლად.

- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებმა 2008 და 2009 წლებში შესაბამისად შეადგინა 361.1 ათასი და 237.0 ათასი ლარი, საიდანაც საწვავის ხარჯი შეადგენს შესაბამისად 63% და 53%-ს.

- უნიფორმის შესაძენად 2008 და 2009 წლებში გახარჯულია შესაბამისად 426.6 ათასი და 494.6 ათასი ლარი.

## შენიშვნა 7 - არასაბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

### არასაბიუჯეტო შემოსავლები

დეპარტამენტის ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმვას. არ ხდება საკუთარი შემოსავლება და ამ სახსრების გამოყენების დაგეგმვა. დეპარტამენტის მიერ სამინისტროსთან არ არის შეთანხმებული საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი, მაშინ, როდესაც მან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით უნდა განახორციელოს საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

დეპარტამენტის მიერ სამინისტროსთან არ შეთანხმებულა თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობები, მაშინ როდესაც 2009 წლის 26 ივნისიდან მას ეს ვალდებულება ეკისრებოდა<sup>3</sup>.

დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია:

- დაამტკიცოს საშტატო ნუსხა და განსაზღვროს სახელფასო განაკვეთები
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიაწოდოს უმცროსი და მორიგი საშუალო სპეციალური წოდებები

<sup>3</sup> დარღვეულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის (საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას) პირველი პუნქტის დ) და დ1) ქვეპუნქტების მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს „დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა“; დ1) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა; (26.06.2009 N 1350)

- დამოუკიდებლად გადაწყვეტოს საფინანსო-სამეურნეო და სახელშეკრულებო საქმიანობის საკითხები და ა.შ;

ამავე დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი დეპარტამენტის სახსრები და შემოსავლები ხმარდება დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარებას. სხვა მიზნებისთვის სახსრების გამოყენება აკრძალულია.

აქედან გამომდინარე დეპარტამენტის თავმჯდომარეს გააჩნია უფლებები სახელშეკრულებო საკითხების გადაწყვეტის და მიღებული შემოსავლების გამოყენების საქმეში.

დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლების ძირითადი წყაროა საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. იგი, თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ახორციელებს, როგორც ცოცხალი ძალის გამოყენებით, ისე დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით.

2008 წლის ბიუჯეტის პროექტით, 2007 წლის 11 ივლისის N41/2/17-6621 წერილით, დეპარტამენტმა მოითხოვა 7,866.0 ათასი ლარის დაფინანსება (აქედან 400.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივებისათვის). 2007 წლის 6 დეკემბრის N41/2/17-11349 წერილით ეს თანხა დაზუსტდა 8,413.3 ათას ლარამდე, მათ შორის არაფინანსური აქტივებისათვის მოთხოვნილი თანხა გაიზარდა 834.0 ათასი ლარამდე და დამტკიცდა. წლის მანძილზე, განხორციელებული გადანაწილებების შედეგად ამ მუხლს სუბსიდიების მუხლიდან 766.8 ათასი ლარი და სამინისტროს ასიგნებებიდან 300.0 ათასი ლარი დაემატა და 1900,8 ათას ლარამდე დაზუსტდა. აქედან, 1370.6 ათასი ლარით (72.4%) შეძენილია ავტოსატრანსპორტო საშუალებები, საიდანაც 36 ერთეული, საერთო ღირებულებით 913.3 ათასი ლარი არასაბიუჯეტო სამმართველოებს გადაეცათ.

აუდიტის პერიოდში, დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებებით სისტემატურად დგინდებოდა დაცვითი-საგანგაშო ტექნიკური საშუალებების მომსახურების ღირებულება, დასაცავი ობიექტის ადგილ-მდებარეობის, ფუნქციის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მაგრამ არ დამტკიცებულა ტარიფები სხვა სახის მომსახურებაზე, მაგალითად ცოცხალი ძალით ობიექტის დაცვაზე, მაშინ როდესაც შემოსავლების უდიდესი წილი (თითქმის 80%-მდე) ცოცხალი ძალის გამოყენებით დაცული ობიექტებიდანაა მიღებული. ცალკეული ობიექტის მიერ გადასახდელი თანხების ოდენობა დგინდება საბაზრო პრინციპით უშუალოდ დამკვეთთან მოლაპარაკების გზით და გადაწყვეტილებას ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე იღებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულია თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ნორმები, რომელიც გამომდინარეობს დასაცავი ობიექტის მიერ ერთ თანამშრომელზე გადასახდელი თანხებიდან. მაგალითად: თუ ობიექტი ერთ რიგით პოლიციელზე იხდის 300 ლარს, მაშინ 2009 წელს მოქმედი ბრძანების საფუძველზე ამ პოლიციელს შრომის ანაზღაურების სახით ერიცხებოდა 187 ლარი, ხოლო 2250 ლარის გადახდის შემთხვევაში პოლიციელის შრომის ანაზღაურება იზრდებოდა 1404 ლარამდე.

ამრიგად, სხვადასხვა ობიექტების დაცვაზე დასაქმებული, ერთი და იგივე ფუნქციის შემსრულებელი პოლიციელები იღებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ხელფასს, ისე რომ უშუალოდ მათ არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ დასაცავი ობიექტის მიერ გადასახდელი თანხების ოდენობაზე.

დეპარტამენტში საშუალოდ 12 ათასი თანამშრომელია, საიდანაც დაახლოებით 3-4 ათასი წვევამდელი იხდის სამხედრო ვალდებულებას საკონტრაქტო სამსახურის სახით. მათი შრომის ანაზღაურება, მინისტრის შესაბამისი ბრძანების მიხედვით თვეში 95 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც რიგითი პოლიციელის მინიმალური ხელფასი 187 ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საკონტრაქტო მოსამსახურის გამოყენებაზე რაიმე კონკრეტული მითითება არ არსებობს და დეპარტამენტი მათ იყენებს ნებისმიერ ობიექტზე, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ, მიუხედავად ობიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

#### არასაბიუჯეტო ხარჯები

დეპარტამენტს 2008 წლის დასაწყისისათვის ბალანსზე გაუნაწილებელი მოგების სახით ერიცხებოდა 8,141.7 ათასი ლარი. 2008 და 2009 წლებში საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შედეგად მან შემოსავლების სახით ჯამში მიიღო 118,219.8 ათასი ლარი, ხარჯებმა კი შეადგინა 110,286.7 ათასი ლარი. შედეგად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე გაუნაწილებელი მოგების სახით 16,074.8 ათასი ლარი ერიცხება.

სულ 2008 წლის მანძილზე საკუთარმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა 54,128.5 ათასი ლარი, ფაქტობრივმა კი 55,515.5 ათასი ლარი. აქედან 54,207.8 ათასი ლარი, ანუ 97.6% საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგადაა მიღებული, საიდანაც 8,659.3 ათასი ლარი ცენტრალიზებული წესით მიღებული, 37,768.2 ათასი ლარი კი რეგიონების შემოსავალია. ფიზიკური პირების პირად დაცვის განხორციელებისათვის შემოსავალმა 4,344.9 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და ფასეულობების დაცვის და მოძრავი ტვირთების გაცილებისათვის კი 1,416.2 ათასი ლარი შეადგინა. დასაცავი ობიექტების დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის (სიგნალიზაციის მონტაჟი) ღირებულების სახით შემოსულია 532.4 ათასი ლარი, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების (წყალკანალის) დაცვის ასანაზღაურებლად - 1,486.8 ათასი ლარი.

გარდა აღნიშნულისა დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლების დამატებით წყაროს წარმოადგენს მომწოდებლებზე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხული სანქციები და ჯარიმები - 52.0 ათასი ლარის და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 1,255.7 ათასი ლარის ოდენობით. აქედან ბანკის მიერ ანგარიშზე არსებულ თანხებზე სარგებლის სახით დარიცხულია - 398.5 ათასი ლარი, სავალუტო კურსის ცვლილებამ გამოიწვია 291.6 ათასი ლარის დადებითი ეფექტი, შპს „პეკულის“ მიერ გადახდილია გარიგების თანხა - 584,0 ათასი ლარი, ისრაელის საელჩოს მიერ ჩარიცხულია საპრემიო თანხა - 16.7 ათასი ლარი და ა. შ.

2009 წელს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები 2008 წელთან შედარებით თითქმის 15%-ით გაიზარდა.


2009 წლის მანძილზე საკასო შემოსავლებმა 62,601.5 ათასი ლარი, ფაქტობრივმა კი 62,704.1 ათასი ლარი შეადგინა. აქედან საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულია 62,313.6 ათასი ლარი, საიდანაც 12,857.5 ათასი ლარი ცენტრალიზებული წესითაა მიღებული, 41,282.7 ათასი ლარი კი რეგიონების შემოსავალია. ფიზიკური პირების პირად დაცვის განხორციელებისათვის შემოსავალმა 4,085.7 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და ფასეულობების დაცვის და მოძრავი ტვირთების გაცილებისათვის კი 1,870.5 ათასი ლარი შეადგინა. დასაცავი ობიექტების დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის (სიგნალიზაციის მონტაჟი) ღირებულების სახით შემოსულია 805.8 ათასი ლარი, ხოლო

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების (წყალკანალის) დაცვის ასანაზღაურებლად - 1,242.7 ათასი ლარი. კერძო დაცვითი საწარმოების მომსახურებაში მიღებულია 167.9 ათასი, ძირითადი საშუალებების რეალიზაციით კი 0.8 ათასი ლარი.


ამასთან, დეპარტამენტის მომწოდებლებზე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხულია სანქციები და ჯარიმები - 52.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით დარიცხულმა შემოსავლებმა - 337.8 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ბანკის მიერ ანგარიშზე არსებულ თანხებზე სარგებლის სახით დარიცხული პროცენტის სახით მიღებულია - 263.6 ათასი ლარი, ისრაელის საელჩოს მიერ ჩარიცხული საპრემიო თანხა - 17.6 ათასი ლარი, დანაკლისებიდან შემოსული თანხა-5.2 ათასი ლარი, აღდგენილია უიმედო დებიტორული დავალიანება - 13.8 ათასი ლარის ოდენობით და ა. შ.

2008 და 2009 წლებში შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

| 2008                                 | დარიცხული | საკასო   |
|--------------------------------------|-----------|----------|
| სულ შემოსავლები                      | 55,515.5  | 54,128.5 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 54,207.8  | 53,150   |
| სანქციები და ჯარიმები                | 52        | 52       |
| სხვა არაკლასიფ. შემოსავლები          | 1,255.7   | 926.5    |



| 2009                                 | დარიცხული | საკასო   |
|--------------------------------------|-----------|----------|
| სულ შემოსავლები                      | 62,704.1  | 62,601.5 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 62,313.6  | 62,230.8 |
| სანქციები და ჯარიმები                | 52.7      | 52.7     |
| სხვა არაკლასიფ. შემოსავლები          | 337.8     | 318      |



2008 და 2009 წლებში დეპარტამენტის მიერ საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ანალიზი ქვემოთხსენებულ მხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით (ათას ლარებში)

| #     | დასახელება                                  | საკასო     | დარიცხული  | საკასო     | დარიცხული  |
|-------|---------------------------------------------|------------|------------|------------|------------|
|       |                                             | 2008       |            | 2009       |            |
| 1.1   | შრომის ანაზღაურება, მ/შ                     | 36,721,459 | 36,819,346 | 46,302,743 | 47,003,986 |
| 1.1.1 | მ.შ. თანამდებობრივი                         | 35,489,223 | 35,587,110 |            | 39,108,833 |
| 1.1.2 | პრემია                                      | 1,206,404  | 1,206,404  |            | 1,742,364  |
|       | წოდებრივი, დანამატი                         | 25,832     | 25,832     |            | 6,152,789  |
| 1.2   | საქონელი და მომსახურება, მ/შ                | 9,387,321  | 10,065,558 | 9,285,395  | 8,451,089  |
|       | რბილი ინვენტარი, უნიფორმა                   | 2,746,050  | 4,559,194  | 3,440,798  | 2,345,756  |
|       | სიგნალიზაციის მონტაჟის ხარჯი                | 2,075,460  | 588,885    | 1,107,791  | 1,205,350  |
|       | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლ.             | 1,682,875  | 1,768,603  | 1,916,724  | 1,803,521  |
|       | საკანც, სამეურნეო და მცირეფასიანი ინვენტარი | 754,973    | 965,087    | 784,698    | 941,954    |
|       | კომუნალური                                  | 422,741    | 372,122    | 414,204    | 457,116    |
|       | კავშირგაბმულობა                             | 368,167    | 349,754    | 369,790    | 394,224    |
|       | წარმომადგენლობითი                           | 261,266    | 271,631    | 57,374     | 57,374     |
|       | მივლინება                                   | 257,160    | 219,337    | 393,593    | 415,555    |
|       | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება      | 240,848    | 240,848    | 61,769     | 64,264     |
|       | შტატგარეშეთა ანაზღაურება                    | 169,273    | 169,273    |            |            |
|       | საოფისე შენობის მიმდ.რემონტი                | 125,108    | 125,108    | 141,509    | 148,581    |
|       | რეკლამის ხარჯი                              | 116,592    | 140,377    | 188,585    | 210,199    |
|       | კვება                                       | 35,282     | 106,600    | 46,285     | 34,718     |
|       | იჯარის გადასახადი                           | 33,962     | 55,711     | 52,650     | 54,982     |
|       | კვალიფიკაციის ამაღლება                      | 20,704     | 27,634     | 57,721     | 65,591     |
|       | სხვა                                        | 76,860     | 105,394    | 227,759    | 227,759    |
| 1.3   | ძირითადი კაპიტალის მოხმარება                | -          | 1,450,900  |            | 2,037,347  |
| 1.4   | სოციალური უზრუნველყოფა                      | 173,644    | 173,644    | 310,034    | 310,034    |
| 1.5   | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მ/შ | 1,176,574  | 3,304,432  | 2,065,833  | 670,390    |
| 1.5.1 | ქონების გადასაადი და სხვა საგად.ხარჯი       | 131,191    | 109,108    | 94,249     | 125,301    |
| 1.5.2 | მოგების გადასახადი                          | 980,000    | 1,034,388  | 1,860,000  | 475,690    |
| 1.5.3 | სხვა                                        | 65,383     | 27,964     |            | 69,399     |
| 1.5.6 | 2007 წლის უიმედო დებიტ.კორექტირება          |            | 2,132,972  |            |            |

აუდიტის პერიოდში, დეპარტამენტის ზოგიერთ მოსამსახურეს, გარდა ნამსახურები წლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ყოველთვიური დანამატებისა, დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე ეძლეოდათ ყოველთვიური სპეციალური დანამატი, რომლის საერთო ოდენობამ ორი წლის მანძილზე ჯამში 1,199.7 ათასი ლარი შეადგინა.

2008 წლის 24 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N384 ბრძანებით განისაზღვრა დეპარტამენტის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები, რომლის მე-16 მუხლში მითითებულია, რომ „დეპარტამენტის მოსამსახურეს და სამოქალაქო პირს დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაძლებელია ხელფასზე დაუწესდეს ყოველთვიური სპეციალური დანამატი“.

აღნიშნული ბრძანება ძალაში შედიოდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო დეპარტამენტის კანცელარიაში რეგისტრირებულია 2008 წლის 31 მარტს. მანამდე დეპარტამენტის თავმჯდომარეს თავისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სპეციალური დანამატის დაწესების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

მიუხედავად ამისა, 2008 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებებით სპეციალური დანამატის სახით 54 მოსამსახურეზე გაცემულია 43.1 ათასი ლარი.

#### შრომის ანაზღაურება

2008 და 2009 წლებში დეპარტამენტის მიერ საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი, კერძოდ 83,823.3 ათასი ლარი (76%) შრომის ანაზღაურების მუხლითაა გახარჯული, საიდანაც პრემიების სახით გაცემულია 2,948.8 ათასი ლარი 3.5%.

უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთია 2,680 ლარი, უმცირესი კი 440 ლარი. 2008 წელს ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე დარიცხული პრემია 32.1 ათას ლარს, 2009 წელს კი 64.5 ათას ლარს შეადგენს. ერთჯერადად ერთ თანამშრომელზე გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 10.0 ათასი ლარი.

დეპარტამენტის ნაერთი ბალანსის დანართის (ფორმა 2) მონაცემებით 2008 და 2009 წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი შტატით მომუშავეთა რიცხოვნობის საშუალო გეგმური ოდენობა იყო შესაბამისად 1,342 და 1,311 ერთეული, ფაქტობრივად მუშაობდა 1,168 და 1,300 თანამშრომელი. არასაბიუჯეტო სექტორში დასაქმებული იყო შესაბამისად 11,015 და 11,058 თანამშრომელი.

#### საქონელი და მომსახურება

ამ მუხლით გაწეულია 18,516.6 ათასი ლარის ხარჯი, რაც მთლიანი ხარჯების 16.8%-ს არ აღემატება. აქედან მნიშვნელოვანია სიგნალიზაციის მონტაჟის - 1794.2 ათასი ლარი (9.5%), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის - 6905.0 ათასი ლარი (37.3%) და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის - 3572.1 ათასი ლარი (19.3%) ხარჯები, საიდანაც საწვავის შესაძენად გახარჯულია 2432.1 ათასი ლარი.

#### ძირითადი კაპიტალის მოხმარება

მუხლით ხარჯებში ასახულია 3,488.3 ათასი ლარი (საერთო ხარჯების 3.2%), ხოლო საბიუჯეტო გადასახადების სახით 1,744.5 ათასი ლარი.

ხარჯებშია გატარებული 2007 წლამდე არსებული უიმედო დებიტორული დავალიანების ნაწილი - 2,133.0 ათასი ლარი.

#### მივლინებები

აღსანიშნავია, რომ სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებს, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ შიდა ქართლში სპეციალური დავალების შესასრულებლად, სამივლინებო თანხები ავანსის სახით არ ეძლეოდათ და მხოლოდ მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ხდებოდა ამ თანხების ანაზღაურება.

#### წარმომადგენლობითი ხარჯების

ქვემოხლით 2008 და 2009 წლებში არასაბიუჯეტო სახსრებიდანაა გაწეული შესაბამისად 271.3 და 57.4 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი, რაც საერთო ხარჯების 0.5%-ს და 0.1%-ს შეადგენს. 2008 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების შედარებით დიდი მოცულობა ძირითადად განაპირობა დსთ-ს ქვეყნების დაცვის პოლიციის დეპარტამენტების სამიტის საქართველოში ჩატარებამ.

აღნიშნული ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით არ არის შემუშავებული შესაბამისი ინსტრუქცია და პროცედურები, რის გამოც დაფიქსირდა ნაკლოვანებები. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში ხარჯები ისეა გაწეული, რომ შესაბამის დოკუმენტებში არ არის მითითებული თუ კონკრეტულად ვის გაეწია მომსახურება, რა ოდენობით და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები. მაგალითად: 2008 წლის 27 ივნისს დსთ-ს სამიტისათვის საჭირო სასტუმროს მომსახურების შესყიდვის მიზნით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით „სასტუმრო შერატონ მეტეხი-პალასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N04/04/23, სადაც დაფიქსირებულია, რომ სასტუმრო ვალდებული იყო დაეზინავებინა „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტუმარი“. მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 95,7 ათასი ლარით. 7 ივლისს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირდა, რომ დეპარტამენტმა ჩაიბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო იმავე დღეს გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში საქონლის დასახელებად მითითებულია მხოლოდ „სასტუმროთი მომსახურების ღირებულება“. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, სადაც არ არის მითითებული სტუმართა რაოდენობა, მათ მიერ დაკავებული ოთახების რაოდენობა, კლასი, ღირებულება და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები, სასტუმროსათვის ზემოხსენებული თანხა გადახდილია.

#### ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა

დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ტექნიკურ მომსახურებას უწევდა რამდენიმე ავტოტექმომსახურების საწარმო, რომლებთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც ძირითადად იდენტურია და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გარდა, თან ახლავს ფასების ცხრილები, როგორც მოსაწოდებელი სათადარიგო ნაწილების, ისე ამ ნაწილების შეცვლის ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ცხრილები ძალზე მწირია და არ შეიცავენ საკმარისად გამოსაცვლელი ნაწილების, ან გასაწევი მომსახურების ფასებს. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ ხელშეკრულებებს საერთოდ არ ახლავს ფასების ცხრილები. მაგალითად, 2008 წლის 10 მარტს ი/მ „დავით ლაზარაშვილთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება N03/51/01 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე საერთო ღირებულებით - 7,500 ლარი. ხელშეკრულებაში არ არის დაფიქსირებული მოსაწოდებელი სათადარიგო ნაწილების, ან ამ ნაწილების შეცვლის ფასები, ამიტომ შემსრულებლის მიერ შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებში

ფასები დაფიქსირებულია საკუთარი შეხედულებისამებრ და მათი შედარება რაიმე კონკრეტულ დოკუმენტთან ვერ ხერხდება.

2008 წლის 1 თებერვალს შპს „ავტოსატრანსპორტის კომპანიასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება N01/05/01, რომლის თანდართული ფასების ცხრილშიც, მხოლოდ მომსახურების ფასებია დაფიქსირებული და სათანადო ნაწილების ფასები განსაზღვრული არ არის. ამ მხრივ მდგომარეობა 2009 წლისათვის შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც ბევრი დასახელების სათანადო ნაწილისა და მომსახურების ფასები არ არის განსაზღვრული და არის შემთხვევები, როდესაც ანგარიშფაქტურის გარდა არანაირი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი, ან ა/მანქანის დათვალერების აქტსა და სამუშაოს შესრულების აქტში დაფიქსირებული მომსახურების გარდა შესაბამის ანგარიშფაქტურაში კიდევ სხვა სახის სამუშაოების შესრულებაა ნაჩვენები და ისეა ანაზღაურებული.

თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გახსნილია ანკეტა, რომელიც არასრულყოფილად ივსება. კერძოდ: ტექმომსახურების განყოფილებაში არ არის შევსებული ისეთი გრაფები, როგორიცაა პატაკის შემოსვლისა და გასვლის თარიღები, სპიდომეტრის ჩვენება და დაზიანების მიზეზი. საერთოდ არ არის შევსებული ზეთის და ღვედის შეცვლის განყოფილებების გრაფები<sup>4</sup>.

### შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან

დეპარტამენტის მიერ როგორც საბიუჯეტო, ისე საკუთარი სახსრებით, 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 1,457 ხელშეკრულება, საიდანაც 94,6%, ანუ 1,379 ხელშეკრულება გაფორმებულია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 38 შემთხვევაში ჩატარებულია ფასთა კოტირება, 40 შემთხვევაში კი ტენდერი.

აღნიშნული საკითხის შემოწმებით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები:

ა) ტენდერის საშუალებით გაფორმებული ყველა და ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმებული ზოგიერთი ხელშეკრულება არ შეიცავს შესყიდვის ობიექტის დასახელებას, ტექნიკურ პარამეტრებს, ძირითად მახასიათებლებს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რაოდენობას, ერთეულის ან/და მთლიან ღირებულებას.

2008 წლის 18 იანვარს ი/მ „გივი კახუაშვილთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება N01/03/01 ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე ღირებულებით - 309.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულმა ი/მ „გივი კახუაშვილმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი შემდეგ თანხაზე: პირველი ლოტი - 214,400 ლარი, მეორე ლოტი - 53,600 ლარი და მესამე ლოტი - 41,700 ლარი. ხელშეკრულებაში არ არის

4 დარღვეულია საქართველოს შს მინისტრის 2008 წლის 23 ივლისის N826 ბრძანებით დამტკიცებულ დებულების „საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვისა და ექსპლოატაციის შესახებ“ მოთხოვნები, თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გახსნილი ანკეტის შევსების თაობაზე.

დაფიქსირებული თუ კონკრეტულად რა საქონელზეა საუბარი, არ არის მითითებული მისი ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები, საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა და ა.შ. ანალოგიური დარღვევებითაა გაფორმებული მრავალი ხელშეკრულება<sup>5</sup>.

ბ) დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომების N2 ოქმებში მითითებულია მხოლოდ პრეტენდენტების სახელწოდებები, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი სატენდერო წინადადებების ფასების გამოცხადების შესახებ. აღნიშნული ფასები საერთოდ არ არის დაფიქსირებული სატენდერო კომისიის სხდომების არც ერთ ოქმში. ამასთან, კომისიის წევრების მიერ შევსებულ შეფასების ცხრილებში, ნაცვლად შეფასებაზე დაშვებული ყველა პრეტენდენტის სატენდერო წინადადებისა, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პრეტენდენტის სატენდერო წინადადებაა შეფასებული. ზოგ შემთხვევაში კი სატენდერო კომისიის წევრებს, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასებისას, საკმაოდ არალოგიკური შეფასებები აქვთ გაკეთებული და ზოგიერთი კრიტერიუმებით აშკარად უკეთესი მაჩვენებლების მქონე პრეტენდენტისათვის ნაკლები ქულები აქვთ მინიჭებული, რითაც უარესი მაჩვენებლების მქონე პრეტენდენტი გამარჯვებულად არის გამოცხადებული.

2008 წლის 21 მარტს დეპარტამენტის მიერ ეროვნული საგანძურის დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი, შესყიდვის გეგმური ღირებულებით 465.8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2008 წლის 11 აპრილის N2 სხდომის ოქმის მიხედვით სატენდერო წინადადება წარმოადგინა რვა პრეტენდენტმა. ოქმში მითითებულია მხოლოდ პრეტენდენტების სახელწოდებები, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი სატენდერო წინადადებების ფასების გამოცხადების შესახებ. ამასთან აღნიშნული ფასები ოქმში საერთოდ არ არის დაფიქსირებული<sup>6</sup>. სატენდერო წინადადებების ფასები არ არის დაფიქსირებული არც სატენდერო კომისიის სხდომის N3 შემაჯამებელ ოქმში.

აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის მიერ ჩატარებული პრაქტიკულად ყველა ტენდერის დოკუმენტაციაში ანალოგიური მდგომარეობაა.

ზემოხსენებული სხდომის ოქმის მიხედვით, სატენდერო კომისიის მიერ ყველა პრეტენდენტი დაშვებულ იქნა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის 2008 წლის 15 აპრილის N3 სხდომის ოქმის მიხედვით კომისიის წევრების მიერ

5. დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რომლის ძალითაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი აუცილებელი ელემენტები და პირობები: „ბ) ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან/და მთლიანი ღირებულება“.

6. დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც „სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე იმართება სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც პრეტენდენტების თანდასწრებით ერთობლივად იხსნება სატენდერო წინადადებები, ცხადდება სატენდერო წინადადებების წარმომდგენი პრეტენდენტების სახელწოდება, ვინაობა (ფიზიკური პირის შემთხვევაში), სატენდერო წინადადებების და ალტერნატიული წინადადებების ფასი, რაც უნდა აისახოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში“.

შეესრულა შეფასების ცხრილებში მხოლოდ ოთხი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები შეფასებული. დანარჩენი ოთხი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები, რომელთა ღირებულებაც აღემატებოდა შესყიდვის გეგმურ ღირებულებას, 465.8 ათას ლარს, არ შეფასებულა, მიუხედავად იმისა, რომ შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმებიდან სატენდერო წინადადების ღირებულებას და სამშენებლო მასლების ხარისხობრივ პარამეტრებს ერთნაირად 0.4 კოეფიციენტი ჰქონდა მინიჭებული<sup>7</sup>.

სატენდერო კომისიის წევრების წერილობითი დასკვნებიც და შეფასების ცხრილში პრეტენდენტებისათვის მინიჭებული ქულებიც სრულიად ერთნაირია და პრაქტიკულად, ეს დოკუმენტები, მხოლოდ კომისიის წევრის გვარებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. შეფასებები არასწორად არის გაკეთებული. მაგალითად, შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი იყო სამუშაოს შესრულების ვადები 0.1 კოეფიციენტით. ამ კრიტერიუმებით ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ შპს „გეოკოლორს“, სატენდერო კომისიის ყველა წევრის მიერ მინიჭებული აქვს 9.2 ქულა, ერთ-ერთ პრეტენდენტს, კერძოდ შპს „თორელს“ კი 9,0 ქულა, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი სამუშაოს შესასრულებლად 122 დღეს ითხოვდა, შპს „გეოკოლორი“ კი 150 დღეს.

თითქმის ანალოგიური დარღვევები დაფიქსირდა იმერეთ-გურიის დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერშიც, სადაც სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯი-აი-სი“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „ჯი-აი-სი“-ს მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების დანართი ფორმა N2-ებში რამდენიმე შემთხვევაში გაანგარიშებებში დაშვებულია მექანიკური შეცდომები დეპარტამენტის საზიანოდ, რის შედეგადაც შპს „ჯი-აი-სი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება გაზრდილია 496 ლარით, რაც ექვემდებარება დეპარტამენტის ანგარიშზე დაბრუნებას.

გ) რამდენიმე შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადებულია ის პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასები გაცილებით მეტი იყო სხვა პრეტენდენტის ფასებთან შედარებით. აღნიშნულის მიზეზად მითითებულია განსხვავებები საქონლის ხარისხობრივ პარამეტრებში, ისე, რომ დეპარტამენტის მიერ პრეტენდენტებისათვის გადაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული იმ სპეციალური ტესტებისა და მეთოდების აღწერა, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა საქონლის ხარისხის დადგენისას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, თუ რა სპეციალური ტესტები და მეთოდები იყო გამოყენებული სატენდერო კომისიის მიერ, სატენდერო წინადადებებით შემოთავაზებული საქონლის ხარისხის შეფასებებისას და კონკრეტული ქულების დაწერისას, მით უმეტეს, რომ არ ყოფილა გამოყენებული დებულებით მინიჭებული უფლება ექსპერტებისა და კონსულტანტების მოწვევის შესახებ.

7 დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების („სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“) მე-16 მუხლის (სატენდერო წინადადებების განხილვისა და შეფასების წესი) მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც: „სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე, ყოველი კრიტერიუმის მიხედვით ათ ქულიანი სისტემით“.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო კომისიის წევრების ზეპირი განმარტებით, შემოწმების პერიოდისათვის საქართველოში არსებული საექსპერტო სამსახურები არ იყვნენ აღჭურვილნი შესაბამისი აპარატურით, რითაც შეიძლებოდა ქსოვილის ქიმიურ - ბოჭკოვანი შემადგენლობის ზუსტი დადგენა.

ამრიგად, არსებული დოკუმენტებით ვერ მტკიცდება, მოსაწოდებელი საქონლის შედარებით დაბალხარისხიანობის მიზეზით, აშკარად დაბალი ღირებულების სატენდერო წინადადებების ნაცვლად, გაცილებით ძვირადღირებული სატენდერო წინადადებების გამარჯვებულად გამოცხადების ლოგიკურობა.

მაგალითად: 2008 წლის 9 იანვარს დეპარტამენტის მიერ საკუთარი სახსრებით დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი 21 ლოტად. N9 ლოტით შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 2,500 ცალი „ქურთუკი“, N10 ლოტით კი 9,500 ცალი „ქურთუკი საშემოდგომო-საგაზაფხულო“. ამ ლოტებში შპს „იმერის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით ქურთუკების ფასები დაფიქსირებული იყო შესაბამისად 47 (საერთო ღირებულება 117.5 ათასი ლარი) და 25 ლარის (საერთო ღირებულება 237.5 ათასი ლარი) ოდენობით. N9 ლოტში გამარჯვებულად გამოცხადებულ, უმცირესი ფასის წარმომდგენ შპს „იმერს“ საქონლის ხარისხობრივი პარამეტრების კრიტერიუმით სატენდერო კომისიის წევრების მიერ 9.6-დან 9.7-მდე ქულები აქვს მინიჭებული, N10 ლოტში კი ამავე კრიტერიუმით მას მიღებული აქვს მხოლოდ 8.0-დან 8.6-მდე ქულები.

ასეთი დაბალი შეფასებების გამო შპს „იმერი“ დამარცხდა შპს „ვაკოსთან“, რომელსაც ხარისხში 9.9 ქულა მიენიჭა. ამ დროს შპს „ვაკოს“ სატენდერო წინადადების ღირებულება (381.9 ათასი ლარი) ამ ლოტში 144.4 ათასი ლარით, ანუ 60%-ით მეტი იყო შპს „იმერის“ სატენდერო წინადადების ღირებულებაზე (237.5 ათასი ლარი), მაგრამ ღირებულების კრიტერიუმით შეფასებები ისეა გაკეთებული, რომ არ ასახავს ფასებში ასეთ დიდ სხვაობას. კერძოდ, შპს „იმერის“ სატენდერო წინადადება შეფასებულია 10-10 ქულით, შპს „ვაკოსი“ კი 9.3 ქულით. ანუ, ფასებში 60%-იანი სხვაობა ქულებში მხოლოდ 7%-იანი განსხვავებით აისახა.

ანალოგიურად გამოვლინდა გამარჯვებული N5 და N6 ლოტებშიც.

სატენდერო კომისიის წევრების მიერ ანგარიშსწორების ფორმები და პირობებიც შეფასებული იყო არასწორად. კერძოდ, შპს „იმერი“ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებას ითხოვდა მოწოდებიდან 30 დღის ვადაში, შპს „ისტ ვესტ ტრაიდიנגი“ კი თანხის 50%-ს წინასწარ თხოულობდა. ასეთ პირობებში კი ამ კრიტერიუმით შპს „იმერს“ N6 ლოტში მიღებული აქვს მხოლოდ 8.1 ქულა, შპს „ისტ ვესტ ტრაიდინგს“ კი 8.2 ქულა. შედეგად, ამ ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადებულ შპს „ისტ ვესტ ტრაიდინგთან“ 2008 წლის 8 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება (N01/02/02) და უკვე 19 თებერვალს 251.0 ათასი ლარი წინასწარ იქნა გადახდილი ავანსის სახით.

რამდენიმე შემთხვევაში ამ კრიტერიუმით ერთი და იგივე პრეტენდენტს სხვადასხვა ლოტებში სხვადასხვა ქულები აქვს მინიჭებული, მაშინ როდესაც თითოეულ მათგანს ანგარიშსწორების პირობები ყველა ლოტზე ერთნაირი ჰქონდათ წარმოდგენილი. მაგალითად, შპს „იმერს“ ანგარიშსწორების პირობები ყველგან ერთნაირი აქვს დაფიქსირებული, ქულები კი ამ კრიტერიუმით სხვადასხვა ლოტში სხვადასხვანაირი აქვს მინიჭებული (ზოგან-8.0, ზოგან-8.1, ზოგან კი 8.2).

ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა, როგორც ოქმების გაფორმების, ისე გამარჯვებულის გამოვლენის საქმეში, დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით 2008 წლის

თებერვალში, ივნისში და დეკემბერში ჩატარებული ტენდერების კანონიერების შემოწმებითაც.

ზემოხსენებულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების მიერ საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის.

დ) რამდენიმე შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ, სატენდერო წინადადებაში ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების დაუფიქსირებლობის გამო ამ კრიტერიუმით 0 ქულა დაეწერა რამდენიმე პრეტენდენტს, რამაც ხარისხობრივი პარამეტრების საკმაოდ დაუსაბუთებელ შეფასებებთან ერთად გადამწყვეტი გავლენა იქონია ტენდერის შედეგებზე და გამარჯვებები საკმაოდ ძვირადღირებული სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პრეტენდენტებს მიენიჭათ.

მაგალითად: 2008 წლის 29 დეკემბერს დეპარტამენტის მიერ საკუთარი სახსრებით დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი. შესყიდვის საგანი დაყოფილი იყო 22 ლოტად. ამ შემთხვევაშიც შეფასებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი კრიტერიუმები და კოეფიციენტები:

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| სატენდერო წინადადების ღირებულება -    | 0.4 |
| საქონლის ხარისხობრივი პარამეტრები -   | 0.4 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები - | 0.2 |

სატენდერო კომისიის 2009 წლის 20 იანვრის N2 სხდომის ოქმის მიხედვით სატენდერო მოსაკრებელი გადაიხადა 30-მა, სატენდერო წინადადება კი წარმოადგინა 27-მა პრეტენდენტმა, საიდანაც 23 დაშვებულ იქნა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების შეფასებისას, როგორც კომისიის თავმჯდომარის, ისე კომისიის წევრების მიერ სრულიად იდენტური დასკვნებია გაკეთებული.

რამდენიმე შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადებულია ის პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასები გაცილებით მეტია სხვა პრეტენდენტების ფასებთან შედარებით. მაგალითად: NN1;2;3;9;10;13;14; და 21 ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადებულია შპს „სატახა“, სატენდერო წინადადებების საერთო ღირებულებით 1,619.0 ათასი ლარი, მაშინ როდესაც ყველა ზემოხსენებულ ლოტში ერთ ან რამდენიმე პრეტენდენტს ჰქონდა გაცილებით დაბალი ფასები წარმოდგენილი.

მაგალითად, N10 ლოტით შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 12,000 ცალი საგაზაფხულო-საშემოდგომო ქურთუკი. ამ ლოტში შპს „ნიტექსი“-მ წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით - 390.0 ათასი ლარი, გამარჯვება კი მიენიჭა შპს „სატახას“, რომლის სატენდერო წინადადების ღირებულებაც (502.8 ათასი ლარი), 112.8 ათასი ლარით, ანუ 29%-ით მეტი იყო შპს „ნიტექსი“-ს მიერ მოთხოვნილ ფასზე. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა შპს „ნიტექსი“-სათვის ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების კრიტერიუმით 0 ქულის მინიჭებამ, რადგან აღნიშნულ პრეტენდენტს სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული არ ჰქონდა ეს პირობები.

ამ ლოტში შპს „სატახას“ მიერ მოთხოვნილი იყო 50%-ის წინასწარი გადახდა.

N3 ლოტით შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 20,000 ცალი თეთრი მაისური რისთვისაც შპს „სატახას“ მიერ მოთხოვნილია 134.0 ათასი ლარი, აქედან 50% წინასწარი გადახდით. ამავე ლოტზე შპს „მ.გ.მ.“-ის მიერ მოთხოვნილია 84.0 ათასი ლარით, 63%-ით, ნაკლები, ანუ 50.0

ათასი ლარი, ყოველგვარი წინასწარი გადახდის გარეშე. ანგარიშსწორების ფორმების და პირობების კრიტერიუმით შპს „სატახა“ N3 ლოტში მიღებული აქვს 8.5 ქულა, შპს „მ.გ.მ.“-ს კი მხოლოდ 5.71 ქულა. გარდა ამისა მნიშვნელოვნად დაბალი ქულები მიენიჭა შპს „მ.გ.მ.“-ს საქონლის ხარისხობრივი პარამეტრების კრიტერიუმით, რის გამოც გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება. ანალოგიურად, N2 ლოტში, რომლითაც შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 20,000 ცალი მოკლესახელოიანი პერანგი, შპს „სატახას“ მიერ მოთხოვნილია 310.0 ათასი ლარი, აქედან 50% წინასწარი გადახდით. ამავე ლოტზე შპს „მ.გ.მ.“-ის მიერ მოთხოვნილია 299.0 ათასი ლარი, ანუ 11.0 ათასი ლარით ნაკლები, თანაც ყოველგვარი წინასწარი გადახდის გარეშე. მიუხედავად ამისა ანგარიშსწორების ფორმების და პირობების კრიტერიუმით ანალოგიური შეფასებებია გაკეთებული და აქაც გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“. აღსანიშნავია, რომ ამავე ლოტში სატენდერო წინადადება წარმოდგენილი ჰქონდა შპს „ქეით ჯი“-ს, ღირებულებით 280.0 ათასი ლარი, ანუ გამარჯვებულზე 30.0 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნულ პრეტენდენტს სატენდერო წინადადებაში ანგარიშსწორების ფორმები და პირობები დაფიქსირებული არ ჰქონდა, რისთვისაც ამ კრიტერიუმით 0 ქულა დაეწერა. ანალოგიურად, სატენდერო წინადადებაში ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების დაუფიქსირებლობის გამო ამ კრიტერიუმით 0 ქულა კიდევ რამდენიმე ლოტში დაეწერა რამდენიმე პრეტენდენტს, რამაც ხარისხობრივი პარამეტრების საკმაოდ დაუსაბუთებელ შეფასებებთან ერთად გადამწყვეტი გავლენა იქონია ტენდერის შედეგებზე<sup>8</sup>.

აღნიშნულ ტენდერში, ანალოგიური მიდგომებით გამარჯვებული გამოვლენილია კიდევ NN5;6;7;8;12;16; და 17 ლოტებში (შპს „ოჩია“; შპს „ისტ ვესტ ტრაიდინგი“; შპს „ვაკო“; შპს „ესელი და კომპანია“; შპს „ფანტასტიკა“).

ყოველივე ზემოაღნიშნული კი წინააღმდეგობაშია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომლის მეორე მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიზანია „სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა“.

ე) აუდიტის პერიოდში სატენდერო წინადადებების მიღებასა და მათ რეგისტრაციას, ნაცვლად სატენდერო კომისიის აპარატისა, აწარმოებდა კანცელარია, მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტში შექმნილია სატენდერო კომისიის აპარატი<sup>9</sup>.

8. ამით სატენდერო კომისიის მიერ არ გამოყენებულა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების („სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“) ტიპიური სატენდერო დოკუმენტაციის მე-18 მუხლის მე-18.1 პუნქტით მინიჭებული უფლება, რომლის მიხედვითაც: „სატენდერო წინადადებების შერჩევის ან შეფასების დროს აღმოჩენილი გაუგებრობების განმარტების მიზნით შემსყიდველს შეუძლია სთხოვოს ტენდერში მონაწილეს მისი სატენდერო წინადადების დაზუსტება. თხოვნა დაზუსტების შესახებ და პასუხი მასზე უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და ამასთანავე დაუშვებელია ისეთი თხოვნების, წინადადებების ან ნებართვების წარმოდგენა, რომლებიც ცვლის სატენდერო წინადადებების ფასს ან შინაარსს“.

9 დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების („სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“) მე-14 მუხლის (პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების წარდგენისა და გახსნის წესი) მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც: „სატენდერო წინადადებების მიღებასა და მათ რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ვადებსა და მისამართზე“.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის 2008 და 2009 წლების წლიური ბალანსების აუდიტორული შემოწმება არ მომხდარა, მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით ეს შემოწმება უნდა განეხორციელებინა სამინისტროს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ აუდიტორს<sup>10</sup>.

#### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

---

10 დარღვეულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნა, რომელთა თანახმადაც, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის წლიურ ბალანსს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.